საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

პარასკევი, 3 დეკემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 110 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 110


## საბჭოთა სომხეთი

უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი, დაშნაკელთა გამყიდველ პოლიტიკით განაწამები, ანტანტის სათამაშო ნივთათ გადაქცეული სომხეთი ცხადდება საბჭოთა რესპუბლიკათ.

მეტათ მძიმეა ის მდგომარეობა, რომელშიაც ჩვენმა სომეხმა ამხანაგებმა ხელთ აიღეს პოლიტიკური ძალა-უფლება. დაშნაკელთა პარტიას დიდი ხანია ფაქტიურათ ყოველივე ძალა და გავლენა დაეკარგა და მთელი სომხეთის ტერიტორიაზე გამეფებულია წარმოუდგენელი ანარქია. აი, ასეთ პირობებში სომხეთის ერთი ნაწილი - დელიჟანის და ყარავანსარაის მშრომელი გლეხობა აფრიალებს აჯანყების დროშას და გამოდის მთელი სომხეთის მეთაურათ. სომხეთის ამ ნაწილში უკვე მოქმედებს ახალი მთავრობა რევოლიუციონური კომიტეტის (რევკომის) სახით, მაგრამ მან უნდა გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება, შემოიკრიბოს თავის გარშემო მთელი სომხეთის მშრომელი ხალხი და სავსებით გასწმინდოს სომხეთის ტერიტორია ძველი მთავრობის ყველა ძალების წარმომადგენლებისაგან. ეს ისე სწრაფათ უნდა მოხდეს, რომ დაშნაკელთა მოღალატურმა მთავრობამ ვეღარ მოასწროს რაიმე ძალების დაგროვება და მათი შეეწევნით კონტრ-რევოლიუციონური ცეცხლის ხელახალი გაღვივება.

გარდა ამისა, საერთაშორისო მდგომარეობა სომხეთისა ისეთია, რომ მან რაც შეიძლება ჩქარა უნდა გამონახოს საშუალება, რათა ოსმალეთის ნაციონალისტების ჯარებმა გაანთავისუფლონ მათ მიერ დაკავებული სომხეთის ტერიტორია.

ეკონომიურათ, სურსათ სანოვაგის და საერთოთ ხალხის ფართო მასსის კვების მხრით სომხეთი არასოდეს არ იყო სანუგეშო მდგომარეობაში და ეს უკანასკნელი კიდევ უფრო გაუარესდა ამ ბოლო დროს. ახალმა რევკომმა უნდა შესძლოს ისეთი წესით გამოიყენოს ყოველი ნივთიერი საშუალება, რომ ხალხის ფართო მასსამ იგრძნოს მზრუნველი ხელი და თვით ჩაებას ამ მეტად მწვავე საკითხის მოგვარებაში.

საერთოთ, როგორც ვთქვით, მდგომარეობა მეტად ძნელია. შესაძლოა ვისმე კითხვა დაებადოს: ასეთ დროს კომუნისტებმა რატომ აიღეს ხელთ ძალა-უფლება?

საქმე იმაშია, რომ მშრომელი ხალხის ხელში მხოლოთ მაშინ გადადის ძალა-უფლება, როდესაც მმართველი პარტია სავსებით კოტრდება და მისი წყალობით ქვეყანა უფსკრულის კარამდეა მიყვანილი. ეს პარტია თავისი ნებით მაინც არ დასთმობდა თავის ბატონობას და საერთო მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდებოდა. ეს გაუარესება საბოლოვოთ იწვევს მხოლოთ ხალხის სასოწარკვეთილებას, რაიცა სრულიათ არ არის სასურველი ნიადაგი ახალი მართვა-გამგეობის დამყარებისათვის. პირიქით, საჭიროა, რომ ხალხის დრტვინვა და ტანჯვა სასოწარკვეთილებამდე კი არ მივიდეს, არამედ იქცეს რევოლიუციონური ენერგიის წყაროთ, რომელიც მძლავრათ განავითარებს ხალხის აქტივობას და თვითმოქმედებას.

სომხეთის რევკომი დღეს ერთათ ერთი ცენტრია, რომელიც მიიზიდავს თავისკენ უკიდურეს გაჭირვებაში მგმინავ მასსას და მას იმედით და რევოლიუციონური ბრძოლის წყურვილით გამსჭვალავს. რაკი ამ მხრით სომხეთის რევკომი ყველა სხვა ძალებზე უფრო ძლიერია სომხეთში, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის ყველა დაბრკოლებებს დასძლევს და საბოლოვოთ გამარჯვებული გამოვა.

ვუსურვებთ საბჭოთა სომხეთს, რომ მან მოკლე ხანში სრული გამარჯვებით დაეგვირგვინებინოს დაწყებული სახელოვანი და თან მეტისმეტათ პასუხსაგები საქმე.

გაუმარჯოს სომხეთის მშრომელ ხალხს! გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!

## საბჭოთა რუსეთის პრესა

### ისპანია და რუსეთი

რევოლიუციონურ თვალსაზრისით, როგორც მე ამაში დავრწმუნდი, აქ, რუსეთში, პროლეტარული მასსები იმდენ ყურადღებას არ აქცევენ ისპანიას, როგორიც ღირსია ეს ქვეყანა. შეიძლება ის მდგომარეობა, რომ ისპანია მდებარეობს ევროპის ბოლო კუთხეში მასთან, ისიც, რომ ისპანიას არ მიუღია მონაწილეობა საერთაშორისო ქარტეხილში, ამ დიდ ომში, და რომ მას აქტიურათ არ მიუღია მონაწილეობა რევოლიუციონურ გამოსვლებში, იყოს ამ უყურადღებობის მიზეზი. ამ სტატიით მე შევეცდები გაჩვენოთ ის, თუ როგორ არის დაინტერესებული ისპანიის ხალხი, რომელიც თავისი ბუნებით დიდათ გავს გმირ რუსეთის პროლეტარიატს, ყოველივე იმითი, რაც ხდება საბჭოთა რუსეთში, თუ როგორ აღელვებს ისპანიის ხალხს რუსეთის პროლეტარიატის თავგანწირული ბრძოლა, სამოქალაქო ომი, რუსეთის ბლოკადა და პოლონეთის პანების შემოტევა.

ისპანიამ არ მიიღო მონაწილეობა ამ უკანასკნელ ომში, რადგან მას არ სურდა დაეღვარა თავისი შვილების სისხლი საერთაშორისო მტაცებლების ინტერესებისათვის. ამიტომ ისპანიის ბურჟუაზიის ეკონომიური ძალა ისე გაიზარდა, რომ მას მხოლოდ ამერიკა სჯობნის. მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაშია ისპანიის მუშა. პირველ მოთხოვნილების საგნების ფასი ძლიერ აიწია და სამუშაო ხელფასი კი—დაიწია, ჩამორჩა მას. ამგვარად შეიქმნა დიდი კრიზისი, რომელმაც ომის დროს გამოიწვია მრავალი გაფიცვები. ამ გაფიცვებმა კი დიდათ შეაფერხეს ისპანიის ბურჟუაზიის ეკონომიური ძალა. როდესაც თქვენმა ოქტომბრის რევოლიუციამ ბრწყინვალედ დაანახვა მთელ ქვეყანას, თუ რა შეუძლია პროლეტარიატს, რომელსაც გადაუწყვეტია დაამსხვრიოს თავისი ბორკილები, აი, ამ დროს ჩვენი ქვეყნის მუშათა მოძრაობა თანდათან კარგავს ეკონომიურ მოძრაობის ხასიათს და იღებს წმინდა რევოლიუციონურ ხასიათს.

ასეთი მდგომარეობა ისპანიას აყენებს იმ ქვეყნების პირველ რიგში, რომლებიც ახდენენ რევოლიუციას. მეორე მხრივ ისპანიის ხალხში იღვიძებს ის სულიერი განწყობილება და თავისუფლებისადმი ლტოლვა, რამაც შეაძლებინა ისპანიის ხალხს დაემარცხებინა და თავის ქვეყნიდან განედევნა ნაპოლეონი 1808 წელს. ეხლა ისპანიის მუშები თანდათან დგებიან იმ გზაზე, რომ სამკვდრო სასიცოცხლო ომს უცხადებენ ბურჟუაზიას. მათი სურვილია საბჭოთა რესპუბლიკის დაარსება. ისპანიის მუშების ეს რევოლიუციონური ალტყინება გამოიხატება იმაში, რომ ის არა ერთხელ გამოვიდა საბჭოთა რუსეთის სასარგებლო მოქმედებით. ეს პროლეტარულ სოლიდარობის გამოხატვა ნიშნავს ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში.

მიუხედავათ იმისა, რომ ბურჟუაზიული პრესა მთელი თავისი ძალღონით ცდილობს მოსწამლოს და დააბნელოს მუშების გონება სხვადასხვა ცილისწამებით და ყალბი ხმებით საბჭოთა რუსეთის შესახებ, მიუხედავათ ამისა ისპანიის მუშები როგორც პროფესიონალურ კავშირებში, ისე სიეზდებზე გამოტანილ რეზოლიუციებით და დადგენილებებით სოლიდარობას უცხადებენ საბჭოთა რუსეთს.

როდესაც ისპანიის მთავრობა დააფრთხო ბოლშევიკურ პროპაგანდამ, მან გადასწყვიტა ისპანიიდან გადაესახლებინა ყველა რუსი მუშები. ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს ისპანიის მუშებმა და მთავრობა იძულებული გახდა არ მოეყვანა სისრულეში ეს თავისი დადგენილება.

საბჭოთა რუსეთის სასარგებლო მოძრაობა ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა. ყოველ ორატორს, რომელიც კრებაზე უხსნიდა მუშებს რუსეთის რევოლიუციის დიდ მნიშვნელობას, აუწერელ აღტაცებით ეგებებოდენ. ტრანსპორტის მუშების პროფესიონალურ კავშირმა დაადგინა და ცხოვრებაში გაატარა კიდეც, რომ დენიკინის ბრბოებს არ გაგზავნოდა ისპანიიდან სამხედრო იარაღებს. ისპანიაში აგრეთვე რამოდენიმე გამოსვლა მოხდა ანტანტის ბოროტ მოქმედების წინააღმდეგ. რესპუბლიკანელების ლიდერს სცემა ხალხმა მხოლოდ იმიტომ, რომ მან საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გაილაშქრა. ისპანიაში უკანასკნელ დროს მომხდარი ამბები ნათლათ ამტკიცებენ იმას, თუ როგორი რევოლიუციონური მდგომარეობაა ისპანიაში.

საფრანგეთმა მოითხოვა, რომ ისპანიას მიეღო მონაწილეობა რუსეთის ბლოკადაში. ამის გამო მთელს ისპანიაში მოხდა დემონსტრაციები ფრანგების ამ მოთხოვნილების საწინააღმდეგოთ. ბარსელონში და ვალენციაში მუშებმა დაარბიეს საფრანგეთის საელჩო. ჯერ კიდევ ცოცხალია ის ხსოვნა, როდესაც 1830 წელს საფრანგეთმა 100 ათასიანი არმია გამოალაშქრა ისპანიის რევოლიუციონერების წინააღმდეგ. მუშებმა დასწვევს ყველა დოკუმენტები, რომელიც ნახეს საფრანგეთის საელჩოში. ასეთ გამოსვლებმა იძულებული გახადეს ისპანიის მთავრობა უარი ეთქვა საფრანგეთის თხოვნაზე რუსეთის ბლოკადის შესახებ. ისპანიაში, უმთავრესათ კი ანდალუზიაში, ამ ისპანიურ უკრაინაში, ხშირია გლეხების აჯანყებები. ამ აჯანყებების ლოზუნგია—მშრომელ ხალხზე მიწების გადაცემა. ამგვარათ ისპანიის მუშების პოზიცია რუსეთის საკითხში ნათელია. ნაციონალური შრომის კონფედერაცია თავისი მილიონიანი წევრებით შეუერთდა მე-3 ინტერნაციონალს.

ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ ისპანიის მუშების რევოლიუციონურ ალტყინებაზე და გვწამს, რომ სოციალისტური რევოლიუცია იფეთქებს ერთდაიმავე დროს, როგორც იტალიაში, ისე ისპანიასა და პორტუგალიაში. ამ ქვეყნების მუშები კი გააერთიანებენ თავიანთ ძალებს და დაეხმარებიან საფრანგეთის მუშებს თავი გაინთავისუფლოს თავის რეაქციონურ ბურჟუაზიის ბრჭალებისაგან. სალამი თქვენ, რუს ამხანაგებო! იყავით მტკიცეთ. ჩვენც ავასრულებთ ჩვენს მოვალეობას—ეს არის ხმა ისპანიის პროლეტარიატის.

**გალან** (ისპანიელი დელეგატი).

გაზ. „პრავდა“ № 902.

# ბიულეტენი პრესბიუროსი

## რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

(რადიოთი მოსკოვიდან, ნაუენიდან, ლიონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკავიდან და ბაქოდან).

## საზღვარ-გარეთ

**საბერძნეთის წარმომადგენლობა საზღვარ-გარეთ.**

**ლიონი**, 1 დეკემბერი. ელლინთა მთავრობამ დაადგინა გაგზავნოს ახალი წარმომადგენლები მოკავშირეთა ქვეყნებში.

საბერძნეთის პოლიტიკა ეცნობება ხალხთა ლიგას.

**გერმანიისა და დანიის შორის ახალი საზღვარი.**

**ლიონი**, 1 დეკ. გერმანიასა და დანიის შორის ახლად გავლებული საზღვარი ძალაში შევა 1920 წლის 1 იანვრის დილის 8 საათიდან.

**არჩევნების შედეგი სამხრეთ-სლავიაში.**

**ბუდაპეშტი**, 1 დეკ. სამხრეთ სლავიის არჩევნების შთაბეჭდილება შემდეგ ნაირია: ორივე ფრთის გაძლიერება და სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით პროვინციალურ ჯგუფების დასუსტება და აგრეთვე მთავრობის პარტიას ყოველ შემთხვევაში დარჩება მართველობის მონარქიული ფორმა და ერთი სახელმწიფოებრივობა.

რადიკალებმა რამოდენიმე ოლქებში დაამარცხეს დემოკრატები და ეს უფრო საგრძნობია დემოკრატებისათვის, რომ უკანასკნელ პარლამენტში მათ ქონდათ 15 ხმა—71-დან. არჩევნები დემოკრატებისათვის არასასურველად დათავდა, ვინაიდან პარტიები ძალიან ბევრი დაარსდა, სულ არის 17 ჯგუფი. ყველაზე მეტად დამარცხდა კროატიული კავშირი, რომელმაც დაკარგა 20 ხმა. შეირყა აგრეთვე კლოვიკალურ პარტიის მდგომარეობა (ლიდერი ამ პარტიის კოროსია). ძალიან ბევრი ადგილები მიიღეს კომუნისტებმა, რადგანაც ისინი დიდ ბრძოლას აწარმოებდენ სიძვირის და ეკონომიურ სიბეჩავის წინააღმდეგ. ძალიან საინტერესოა არჩევნები ჩერნოგორიაში, რომელმაც ცხად ყო, რომ ამ პროვინციას უნდა სერბიასთან შეერთება.

ამ არჩევნების გამო „პრავდა“ სწერს, რომ არჩევნების შედეგი შეიძლება ავხსნათ მხოლოდ ამრჩევლების მოლლილობით, რომელიც გამოიწვია პარტიების დაუზოგველმა ბრძოლამ და ეკონომიურ სივიწროვემ. კროატიის კავშირმა სრული დამარცხება განიცადა ბრძოლაში.

ბელგრადის „პოლიტიკა“ სწერს, რომ არჩევნების შედეგი შეიძლება ავხსნათ ამრჩევლების გადაწყვეტილებით გამოიჩინონ თავისი უკიდურესობა—ან მემარჯვნეობა და ან უკიდურესი მემარცხნეობა.

**ხალხთა ლიგის ბიუჯეტი.**

**მოსკოვი**, 15 ნოემბ. „ტანს“ მოყავს ხალხთა ლიგის მიერ დამტკიცებული 1921 წლის ბიუჯეტი, რომელსაც გაარჩევენ ჟენევაში საერთო სხდომაზე. საერთო გასავალი უდრის 20.850,000 ფრანკ ოქროს. გასავალი განაწილებულია შემდეგ ნაირად: 13,850.000 ფრანკი გადადებულია საერთო ხარჯებისათვის; 7 მილიონი ფრანკი კი შრომის ბიუროს ინტერნაციონალის ხარჯების დასაფარავად. ეს ხარჯები დაეწერება იმ სახელმწიფოებს, რომლებიც შედიან ხალხთა ლიგაში.

**გაურბიან სიმშილს და უმუშევრობას.**

**რიგა**, 12 ნოემბ. როგორც „ბერლინერ ტაბელტაკი“ იტყობინება, აღმოსავლეთ პრუსიის საზღვარზე გადასულან ლიტვაში 10 ათასი გერმანელი, რომელთა რიცხვში შედიან უმუშევრები და ჯარიდან დათხოვილი ჯარის კაცები.

**ბოიკოტის გამოცხადება ფრანგულ ენისთვის.**

**მოსკოვი**, 15 ნოემბ. საფრანგეთის მთავრობის ცდამ, ფრანგული ენა შემოიღო დაპყრობილ ოლქებში, არავითარი შედეგი არ გამოიღო. მოწაფეები ფრანგულის გაკვეთილებს არ ესწრებიან და ბოიკოტს უცხადებენ ფრანგულ ენას.

**უმუშევრობის ზრდა**

**ბერლინი**, 15 ნოემ: გერმანიაში უმუშევართა რიცხვი უდრის 600.000 კაცს. 4.000.000 მუშა და მოსამსახურე, მუშაობს მხოლოდ 2—3 დღეს კვირაში.

**საერთო მდგომარეობა ლიტვაში**

**მოსკოვი**, 12 ნოემ. ლიტვის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ დრაუგელისმა განაცხადა გაზეთ „ლაიზეში“ „მკვლელობა და ძარცვა-გლეჯა ჩვეულებრივი მოვლენაა. სპეკულიაცია ჩვეულებრივ საქმედ გადაიქცა. არავინ გადასახადს არ იხდის. საქმეს არავინ არ ეპყრობა კეთილსინდისიერათ. სოფლები სავსეა დეზერტირებით. არავინ არ მიდის ფრონტზე. პოლიციამ ეს ყველაფერი იცის, მაგრამ არავითარ ყურადღებას არ აქცევს. სპეკულიანტების და დეზერტირების წინააღმდეგ სიკვდილით დასჯა უნდა იქნას შემოღებული“.

**პროფესიონალური მოძრაობა გერმანიაში.**

**მოსკოვი**, 20 ნოემ. თუ რა ჩქარი ნაბიჯით მიდის პროფესიონალური მოძრაობა გერმანიაში, მოწმობს ახალი სტატისტიკური ცნობები. გერმანიის ყველა პროფ. კავშირების წევრების რიცხვი შარშან უდრიდა 2.866.012 კაცს, წელს კი—7.384.123. ასე 4 ნახ. მილიონი წევრი.

**კომუნისტურ პრესის ზრდა**

**რიგა**, 12 ნოემ. „პტი პარიზიენის“ ბელგრადელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ სამხრეთ-სლავიაში გამოდის ხუთი კომუნისტური გაზეთი: „მუშათა ცხოვრება“—ბელგრადში, „თავისუფლების ხმა“—სარაევოში, „ახალი ქვეყანა“—აგრამაში, „წითელი დროშა“—ლაიბახში და „წითელი ცისკარი“—იუსკუბში, უკანასკნელი გამოდის ოსმალურ ენაზე.

**სევრის ხელშეკრულება და ფინანსიური საკითხი**

**სტამბოლი**, 8 ნოემ. გაზ. „ბოსფორი“ სწერს:

„უკანასკნელ ხანებში ძალიან ბევრს სწერდენ იმ ავანსების შესახებ, რომლებიც ვითომც გადასცეს ხაზინას. ზოგიერთები კიდეც აღნიშნავდენ იმ თანხას, რომელსაც მოითხოვს ფინანსთა მინისტ-

რი. იყო ლაპარაკი ორ მილიონ ოსმალურ ლირაზე.

ცხადია, რომ ფინანსიური საკითხი დიდათ იზიდავს მთავრობის ყურადღებას, მით უმეტეს, რომ სადამღენო საშვალებები ძალიან ცოტა მოგებას იძლევა. მასთან მიწის ბაჟები იკრიბება მხოლოდ სტამბოლის ვილაეტში. ამნაირათ, ცენტრალურ მთავრობას ისეთი ცოტა შემოსავალი აქვს, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს სახელმწიფო ხარჯებს, რაც დღითი დღე იზრდება შტატს გარეშე ოფიცრების სამსახურში დაბრუნებით და სამხედრო ტყვეების დაბრუნებით.

ცენტრალური მთავრობა ფინანსიურათ არ იქნებოდა ძგრე სუსტი, რომ ანატოლიასთან გამოთიშული არ იყოს, ან რამდენიმე ვილაეტში ხარკს ჰკრეფდეს. ახლა კი უნდა მიმართოს ევროპის კაპიტალს, რომ დეფიციტი დაფაროს".

**საბერძნეთის პარლამენტის არჩევნების გარშემო.**

**სტამბოლი,** 22 ნოემ. ბერძნული გაზეთის „ტაჰიდრომოს" ცნობით, სტამბოლის ოსმალური „ვაკიტი" საბერძნეთის არჩევნების შესახებ სხვათა შორის სწერს:

„არჩევნების შედეგები გვიჩვენებს, რომ ოპოზიცია იმარჯვებს და ძალაუფლებას ხელთ ღებულობს. მოსალოდნელია, რომ კონსტანტინე ტახტს დაუბრუნდება.

ასეთი ცვლილებები გავლენას მოახდენენ საბერძნეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

**ანატოლიის საკითხი.**

**სტამბოლი,** 10 ნოემ. ლიუტფი-ფიქრი-ბეი გაზეთ „ვაკიტში" სწერს: „სანამ ახალი კაბინეთი არ გამოიჩენს მოქალაქობრივ გამბედაობას, რათა გადაჭრას ანატოლიის საკითხი, როგორც ამას მოითხოვს დღევანდელი მომენტი,—სანამ ის არ მიიღებს სათანადო ზომებს ამ საკითხის გადასაჭრელად,— მე ვერ დავრწმუნდები, რომ ახალი მთავრობა ხალხის ინტერების დამცველია.

ანატოლიის საკითხი ერთ და იმავე დროს არის ნაციონალური საკითხიც და საგარეო პოლიტიკაც. ამასთან ერთად ის ეკონომიური საკითხიცაა. როგორც ხიდის გაკეთება და გვირაბის გაჭრა მოითხოვს ინჟენრებს და სპეციალისტებს, ისე ანატოლიის საკითხიც უნდა იქნეს გარჩეული და გაზომილი მცოდნე პირების და სპეციალისტების მიერ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება გადამწყვეტ დადგენილების გამოტანა და ამ ტანჯულ ქვეყანას შეეძლება თავისუფლად ამოისუნთქოს. შესძლებს თუ არა ეს მთავრობა იმ ტეხნიკურ მუშაობას, რომელიც მან თავს იდვა?

მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობის ყველა წევრები დიდ ნდობით არიან აღჭურვილნი, ჩვენ მაინც ეჭვი გვეპარება ასეთ მუშაობის შესრულებაში".

**ბერძნები და ანატოლია.**

**სტამბოლი,** 13 ნოემბ. სტამბოლის ბერძნული გაზეთი „ხრონოსი" მოწინავეში სხვათა შორის სწერს:

„სომხეთის ტრაგედიის და ბალშევიკების გამარჯვების შემდეგ დიპლომატიც არ შეიძლება ანატოლიის მხრით სტამბოლთან და ანტანტასთან შეთანხმებაზე. ახლანდელი მდგომარეობა მოითხოვს ენერგიულ ზომების მიღებას ქემალისტების საფრთხის წინააღმდეგ, სამხედრო მოქმედების დაწყება ქემალისტების წინააღმდეგ, ახლა უფრო აუცილებელია, ვიდრე ოდესმე იყო. ასეთ მოქმედებისათვის გამოსადეგია მხოლოდ საბერძნეთის არმია. მიეცით მას მხოლოდ სამოქმედო ასპარეზი და სათანადო მატერიალური დახმარება".

**მდგომარეობა ბრუსაში.**

**სტამბოლი,** 20 ნოემბ. გაზეთი „ტახიდრომოსი" სწერს, რომ ბერძნების მთავრობამ ბრუსაში დახურა ყველა ოსმალების ხაზინები. ამის გამო ოსმალეთის მოხელეებს 4 თვეზე მეტია არ მიუღიათ ჯამაგირი. ჯამაგირს არ ღებულობენ აგრეთვე მასწავლებლები და სხვა დაწესებულების მოსამსახურეებიც.

**სტამბოლი და ანატოლია**

**სტამბოლი,** 20 ნოემ. „ტახიდრომოსი" გადმოგვცემს „ილერის" შემდეგ სიტყვებს: „ვინაიდან სტამბოლის მთავრობას ჯერ არავითარი ცნობები არ მიუღია ანგორაში გაგზავნილ წარმომადგენლისაგან, ვინაიდან მთავრობას სურს ბოლო მოუღოს ამ საკითხს, ის ღებულობს ახალ ზომებს ანგორასთან შეთანხმებისას. რა ზომებს მიმართავს მთავრობა ახალ მოლაპარაკებისათვის, ჯერ ჩვენ არ შეგვიძლია ამის თქმა, ერთის თქმა კი შეგვიძლია, რომ სტამბოლის მთავრობის ნაბიჯები მოწონებული იქნება მართველ წრეების მიერ.

**„ანატოლია და საზავო ხელშეკრულება"**

**სტამბოლი,** 20 ნოემ. ასეთ სათაურით გაზ. „ტახიდრომოსი" ათავსებს სტატიას, რომელშიაც სხვათა შორის ლაპარაკია:

„ჩვენი ნაციონალისტები მოითხოვენ სევრის ხელშეკრულობის გადახედვას. ყველა ოსმალების სურვილი ესაა. მაგრამ ერთი სურვილი არ კმარა. მთავრობამ უნდა აწარმოვოს მოლაპარაკება დიდ სახელმწიფოებთან ამ ხელშეკრულობის გადახედვის შესახებ, რომელიც საფუძვლად უდევს ანგორასა და სტამბოლს შორის შეთანხმებას. საუბედუროთ ჩვენ მთავრობას ხელშეკრულობის გადაედვა შეუძლებლად მიაჩნია. ჯერ ჯერობით, ჩვენ კი გვეშინია, რომ ამ საკითხმა ისევ არ გაამწვავოს ანგორას და სტამბოლს შორის დამოკიდებულება".

**სტამბოლ-ანატოლიის მოლაპარაკების ირგვლივ**

**სტამბოლი,** 12 ნოემ. გაზეთი „რევეილი" იტყობინება:

„იმის გამო, რომ ანგორის პარლამენტში მოხდა უთანხმოება ცენტრალურ მთავრობასთან შეთანხმების გამო, მუსტაფა ქემალმა წინადადება შეიტანა აირჩიოს ორივე მხარემ კომისია, რომელმაც უნდა გაარჩიოს ეს საკითხი. უკანასკნელ ცნობებით ასეთი კომისია უკვე აურჩევიათ. დიდი ხნის კამათის შემდეგ მიიღეს პრინციპიალურად სტამბოლის მთავრობასთან მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკების ფორმის შესახებ დადგენილია, გაგრძელდეს ის იმ შემთხვევაში, თუ სტამბოლის მთავრობა შესძლებს დაიცვას ანატოლიის პრინციპები.

კრება იწვევს პლენარულ სხდომას ამ საკითხის საბოლოოთ გადასაწყვეტად".

**იზზეტ-ფაშის განცხადება.**

**სტამბოლი,** 12 ნოემბერი. შინაგან საქმეთა მინისტრმა—იზზეტ-ფაშამ „პეიამ საბახში" განაცხადა:

„სპეციალური მისიის ანატოლიაში გამგზავრების ვადა ჯერ კიდევ არ არის დანიშნული. მთავრობამ ჯერ მხოლოდ დელეგატი გაგზავნა იქ, რომელიც უკვე მოვიდა ხივასში. ამ დელეგატის განზრახვაა ცენტრალური მთავრობის ანატოლიასთან კონტაქტი გაამაგროს.

**უმუშევრობა ავსტრიაში.**

**მოსკოვი,** 20 ნოემბერი. ნედლი მასალისა და ნახშირის უქონლობის გამო უმუშევართა ჯარი სულ უფრო და უფრო იზრდება. ვენაში ამ ჟამათ 35 ათასი უმუშევარია; დანარჩენი მუშებიც მხოლოდ რამოდენიმე დღეს მუშაობენ კვირაში. ზოგიერთ მრეწველობის სფეროში, განსაკუთრებით მეტალურგიულში, მუშები კვირაში 20 საათს მუშაობენ. ნახშირის და ნედლი მასალის შემოტანა რომ გაიზარდოს, 100 ათასი ავსტრიელი მუშა ადვილათ იშოვიდენ სამუშაოს, ვინაიდან საზღვარ გარეთელი მუშები ავსტრიაში არსებულ აუტანელი პირობების გამო გავიდნენ ავსტრიიდან.

**ერთ დამსჯელ რაზმის ისტორია.**

**სტამბოლი,** 15 ნოემბ. სტამბოლის პრესაში დრო გამოშვებით სწერენ ანატოლიის მოძრაობის ძალით ჩაქრობის შესახებ. „ჟურნალი დ'ორიანი", რომელიც ქემალისტებს ეპყრობა მეტ თავდაჭერით, ვიდრე სხვა გაზეთები, იგონებს ერთ დამსჯელ რაზმის ისტორიას, რომელიც მოქმედებდა ანატოლიაში.

„ისმილს რაზმის შედგენა გადაწყვიტა მინისტრთა საბჭომ აპრილში 1921 წელში.

ყველა მინისტრები დარწმუნდენ, რომ აუცილებელია ქემალისტების წინააღმდეგ გადამწყვეტ ზომების მიღება, რათა ერთხელ და სამუდამოთ დამარცხებული იქნას მათი მოძრაობა. ამ გვარად გაგზავნეს არმია, რომელსაც ქონდა დავალებული სასტიკათ დაამარცხოს ქემალისტები და დაიკავოს მთელი ანატოლია. ქემალს ამ დროს უკვე ყავდა თავის განკარგულებაში 9 კორპუსი ჯარი, სტამბოლის მთავრობამ კი გაგზავნა სულ 800 კაცი, რომლებიც გადასახლებულ იქმნენ ანატოლიის ნაპირებზე. დემად-ფერიდს იმედი ქონდა, რომ ის შესძლებს ადგილობრივად შეკრიბოს საკმარისი ძალა. მართლაც დემიდ-ფერიდსთან მოდიოდენ პირველად მოხალისეები, რომლებიც ღებულობდენ იარაღს, ჯამაგირს და მიმართავდენ იმ ადგილების ძარცვა-გლეჯას, რომლებიც მათ უნდა დაეცვათ.

დემად-ფერიდმა ამგვარად შეაიარაღა ბანდები, რომლებიც ფრონტზე მტერთან ბრძოლის დროს ზურგში ახდენენ ძარცვა-გლეჯას. ამრიგად გამოვიდა ის, რომ 12 ათას კილომეტრიანი ტერიტორია იძარცვებოდა და იხრიდებოდა ბანდებით. 277 სოფელი სრულებით გაოხრეს.

მილიციის ხარჯების დასაფარავად, რომლის რიცხვი უდრიდა 15 ათასს კაცს, დემად-ფერიდმა გამოიტანა 6 მილიონი ფრანკი ხაზინიდან, როდესაც ჩვენი ქვეყანა განიცდიდა უკიდურეს ფინანსიურ სივიწროვეს.

13 სოფელი გასწორებული იქნა მიწასთან არტილერიის ცეცხლით, 57 კი დასტოვეს მცხოვრებლებმა, არ იციან საით წავიდენ ისინი.

ყოველგვარ სიბოროტეს და სიმხეცეს იჩენდენ ანდაბეზარში, ბულუში, დუზდიეში და კარამუსალში. ბევრ ადგილას იქნა დანგრეული ხიდები, მცხოვრებლები ყოველგვარ ტანჯვას განიცდიდენ.

რაც შეეხება ამ დამსჯელ რაზმის კატასტროფას, ამის მიზეზები შემდეგი იყო:

1. მთავარ შტაბის განკარგულება არ იქმნა შესრულებული მარცხენა მხარის მიერ, სადაც არ იყო არც ერთი აფიცერი და ჯარს სარდლობდა არზავურ-ფაშა, რომელმაც არ იცოდა არც წერა, არც კითხვა და არაფერი არ იცოდა სამხედრო საქმის.

2. არც ერთი დამხმარე რაზმი არ იქნა გაგზავნილი მთავრობის მიერ, მიუხედავათ სარდლობის თხოვნისა. ამავე დროს სტამბოლის ქუჩებზე დახეტიალობდენ უსაქმო ჯარის კაცები.

3. ვინაიდან სარდლობის და მთავრობის უტაქტიკობის გამო მოწინააღმდეგემ დრო მოიგო, ის გამაგრდა გეივეში. ფერალის ჯარის რიცხვი ამ დროს უდრიდა 18 ათასს და ქონდა კარგი არტილერია. ამავე დროს სტამბოლის პირველი კორპუსი, რომელიც ქიობიან ადგილებში იყო დაბანაკებული სრულიად განადგურდა ავადმყოფობისაგან.

4. არ იყო საკმარისი არტილერია, ტელეფონის მავთულები და კავშირი ზურგთან.

ჯარში სრულებით არ იყო დისციპლინა და სრული ანარქია მეფობდა ზურგში, დეზერტირობა და ძარცვა-გლეჯა კიდევ უფრო გახშირდა.

6 მილიონი გირვანქა სტერლინგის დეფიციტი, აი რა შედეგები მოგვცა ამ უაზრო კომპანიამ".

# მებრძოლის საფლავს*)

(არჩილ დოლიძის ხსოვნას მისი გარდაცვალების ორი წლის თავზე)

რათ ჩაგიკრავს მაგ ცივ გულში
მისი ცხელი გული,
მოლუზღუზე ბრძოლის ცეცხლით
მუდამ ანთებული?

ეგებ მისთვის, რომ ჩანაცრდეს
ცეცხლი სიყვარულის,
გზის მნათობი მშრომელთათვის,
ტრფობა სიხარულის?!

მითხარ, მითხარ, რათ მოსტაცე
მშრომელთ წინამძღოლი,
მოსისხლ მტრებთან უპოვარი,
მამაცი მებრძოლი?

ეგებ მიტომ, რომ დავმარცხდეთ
და ბრძოლა წავაგოთ,
თავზე მეხი დავიტეხოთ
და მტრები ვახაროთ?

არა, არა, შენ მაგ მიზანს
ვერ მიაღწევ, ვერა!
სულ სხვა არის მომავალი,
მშრომელთ ბედის-წერა!

მისთვის ძეგლი აუგიათ,
ძეგლი ხელუხლები,
ზედ წარწერილ ცეცხლის ალში
ნაჭედი სიტყვებით:

„აქ მარხია მშრომელთ მოძმე,
ტანჯულთა დამცველი,
ახალ აზრის მოღაღადე,
მტრებთან სისხლის მღვრელი!"

1918 წ.

**სანდრო ეული**

*) ლექსი დაწერილია მისი გარდაცვალების პირველ დღეებში.

**რ. ს. ფ. ს. რ. შინაურ საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ**

**მოსკოვი,** 1 დეკ. საფრანგეთის რკინის-გზელების კავშირის და სახელმწიფო დაწესებულებების მუშა მოსამსახურეებმა შეერთებულ სხდომაზე დაადგინეს, წინა აღუდგენ დასავლეთ ევროპის მთავრობის ცდას რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევისათვის.

**მეურნეობის დაცემა ბელგიაში**

**მოსკოვი,** 1 დეკემ. ბელგიაში საქსოვ მრეწველობის კრიზისია. განზრახულია შემცირდეს წარმოება. ფაბრიკა-ქარხნებში იმუშავებენ კვირაში ორჯერ-სამჯერ.

**იტალია ემზადება საქონლის გაცვლა-გამოცვლისათვის.**

**მოსკოვი,** 1 დეკ. იტალიის წარმომადგენელი წავიდა რეველში საბჭოთა მთავრობასთან მოსალაპარაკებლად, რათა მან გაგზავნოს იტალიაში წარმომადგენელი ვაჭრობის ურთიერთობის აღსადგენათ.

**საზღვარ გარეთელ პრესიდან.**

**მოსკოვი,** 2 ნოემბ. „იუმანიტეში" ფროსარმა წერილი მოათავსა, რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია:

„ტრადიციონალური მარქსიზმის საფუძველზე მესამე ინტერნაციონალი სოციალისტურ პოლიტიკას ანვითარებს, რომლის მნიშვნელობა საბჭოთა რევოლიუციამ უკვე განიცადა. მესამე ინტერნაციონალი ცდილობს გააერთიანოს მუშათა მოძრაობის ძალები ერთი და იმავე მოქმედებისათვის, რათა ყოველგან ერთი და იგივე რევოლიუციონური გზით გადაწყდეს მსოფლიო კრიზისი. იგი ცდილობს მოაწყოს იდეებში შეთანხმების მაქსიმუმი და ერთიანობის და დისციპლინის მაქსიმუმი ყოველდღიური პროპაგანდასა და აგიტაციაში. პარტიის არსებობა შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ისე, რომ მისი თეორეტიული საფუძვლებს არ ყაბულდეს ყველა მისი წევრები და მისი ტაქტიკას არ ატარებდენ ცხოვრებაში. წარმოუდგენელია მესამე ინტერნაციონალის არსებობა, განსაკუთრებით ამ რევოლიუციონურ კრიზისის დროს, რომ მისი შემადგენელ პარტიებს ადგილობრივი პირობებისადმი თავისი ბრძოლის ფორმების შეფარდების საბაბით პროგრამის სხვა და სხვა თეორეტიული საფუძვლები ჰქონდეს, ან საკუთარი ტაქტიკას აწარმოებდენ და არ ასრულებდენ იმ ვალდებულებებს, რომელსაც მათგან საერთო მიზნები მოითხოვს. საერთო რევოლიუციონური ფრონტი ერთიან გეგმას, ერთიან სტრატეგიას, ყველა ძალების საერთო გამოყენებას და ერთ ხელმძღვანელ ორგანოს მოითხოვს. ყველა ამ პირობების უქონლობის აუცილებელი შედეგია გახრწნა, ქაოსი და მარცხი. მესამე ინტერნაციონალი არ უნდა დაემგვანოს მეორე ინტერნაციონალს, თუ მას არ სურს ისე არ დაუსუსურდეს, როგორც მისი წინამოადგილე. მესამე ინტერნაციონალი სამართლიანად იქცევა, როდესაც იგი, სანამ გაუღებდეს თავის კარებს სოციალისტურ პარტიებს, იგი მკაფიოთ იმუშავებს თავის პოლიტიკას. პარტიას, რომლის პოლიტიკა არ ეწინააღმდეგება მესამე ინტერნაციონალის პოლიტიკას, რომელიც პარტიის როლს ისე უცქერის, როგორც მესამე ინტერნაციონალი, და რომლის შეხედულება პარლამენტარიზმე და პროფესიონალურ კავშირებზე მესამე ინტერნაციონალის შეხედულებას ეთანაზრება, მესამე ინტერნაციონალში შესვლის ნება აქვს".

**ნემოვის ებრაელთა ინსტიტუტი**

**ნაუენი,** 1 დეკემბ. ნემოვსკიმ ებრაელთა ცხოვრების გამოსარკვევათ ინსტიტუტი დაარსა. დამაარსებელთა შორის ბევრ დეპუტატთა შორის დამფუძნ. კრებაზე ნემოვსკიმ განაცხადა, რომ ინსტიტუტის საჭიროებისათვის მან 400 ათასი მარკა მიიღო. ინსტიტუტის მიზანია ყოველმხრივ შესწავლულ იქნეს ებრაელთა ცხოვრება, მწერლობა, სჯრასტიც და ანტისემიური წიგნების გამოცემა. ინსტიტუტი უნგრეთის ანტისემატურ პარტიებს დაუპირისპირდა.

**ომის შეწყვეტა პოლონეთსა და ლიტვას შორის**

**ლიონი,** 2 დეკემბ. 30 ნოემბერს კოვნოში პოლონეთსა და ლიტვას შორის ხელშეკრულობა დაიდო, რომლის ძალით მათ შორის ომი წყდება.

# ტ უ ნ ი ს შ ი

**ლიონი,** 2 დეკემბ. ტუნისში გაიხსნა სათათბირო პალატის სხდომა დ'კატილინის თავმჯდომარეობით. პალატამ ტუნისის ბიუჯეტის და საგარეო პოლიტიკის საკითხები განიხილა.

**იტალია კონსტანტინის დაბრუნებაზე.**

**რომი,** 1 დეკ. იტალიის ოფიციალურ წრეების აზრით, კონსტანტინეს მეფეთ დაბრუნებას უნდა დაერთვას რამოდენიმე გარანტია, სხვათა შორის შეთანხმება ოსმალეთთან იმ ტერიტორიის დათმობაზე, რომლებიც მოკავშირეებმა საბერძნეთს მიაკუთვნეს.

**იზზეტ-ფაშის მისია.**

**რომი,** 1 დეკ. სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ იზზეტ-ფაშის მისია ამ დღეებში გაემგზავრება ანგორაში, მუსტაფა ქემალთან მოსალაპარაკებლათ.

**სფორცი ლონდონში.**

**პარიზი,** 1 დეკ. საფრანგეთის გაზეთები დიდ მნიშვნელობას აძლევენ სფორცის მონაწილეობას ლონდონის თათბირზე. „მატენ"-ი უთითებს რა, სფორცის აზრზე, რომ სევრის ხელშეკრულობა მეტად მძიმეა ოსმალეთისათვის, ლაპარაკობს, რომ იტალიას დიდი გავლენა აქვს და მას შეუძლია იმოქმედოს საფრანგეთის და ინგლისის შეხედულებებზეო. „გოლუა" სწერს, რომ უკანასკნელმა ამბებმა სრულიად დაამტკიცეს იტალიის თავდაჭერილი პოლიტიკა საბერძნეთის იმპერიალისტების მიმართ, რომელსაც თავიდანვე ადგა იტალიაო.

**ესსად-ფაშის მკვლელის გამართლება**

**ლიონი,** 26 ნოემ. სასამართლომ, როდესაც მოისმინა რუსტემის დამცველის დე-მონზის სიტყვა, დარწმუნდა, რომ ესსად-ფაშის მკვლელობა მოხდარა პოლიტიკურ ნიადაგზე და გაამართლა ალბანელი ახალგაზრდა სტუდენტი.

**არჩევნები სამხრეთ-სლავიაში**

**ლიონი,** 2 დეკ. სამხრეთ-სლავიის დამფუძნებელ კრების არჩევნებმა ჯერჯერობით შემდეგი ხმა მიიღო: 110 რადიკალი, 70 დემოკრატი, 35 ქრისტიანული პარტიის, 40 კროაციის გლეხების პარტია, 35 კომუნისტი, 25 მუსულმანი, 20 სოც.-დემ., 3 კროაციის კავშირი, 2 კროაციის ფრაქციის პარტიამ, 1 ლიბერალებმა და 1 რესპუბლიკანელებმა.

**დ ა ი გ ვ ი ა ნ ა**

**ლიონი,** 2 დეკ. ვილსონი ატყობინებს ხალხთა ლიგის საბჭოს თავმჯდომარეს, რომ მას სურს იშუამდგომლოს ოსმალეთსა და სომხეთს შორის.

**სავაჭრო ურთიერთობა ანტანტასთან.**

**მოსკოვი,** 2 დეკემბ: ინგლისის მთავრობამ ამხ. კრასინს გადასცა ინგლისსა და რუსეთს შორის დადებული სავაჭრო ხელშეკრულების პროექტი.

**ზღაპარი თეთრ მოზვერზე.**

**ნაუენი,** 1 დეკემბ. გერმანიის მთავრობამ ოფიციალური მოთხოვნილება მიიღო ანტანტისაგან, რათა გერმანიამ გადასცეს ჰაეროსტატი—„ნორდამტერნი"—საფრანგეთს და „ბოდენზეე"—იტალიას. ასეთ მოთხოვნილებამ ბერლინში დიდი გაკვირვება გამოიწვია. ფიქრობენ რომ გერმანიამ უკვე გადასცა ანტანტას საზავო ხელშეკრულების ძალით მოთხოვნილი ცეპელინები.

**ბავშვების მდგომარეობა გერმანიაში.**

**მოსკოვი,** 1 დეკემ. ბერლინში მოეწყო მრავალ-რიცხოვანი მიტინგები, სადაც ირჩეოდა ბავშვების უმწეო მდგომარეობის შესახებ კითხვები. გერმანელი ბავშვები სიმშილობენ. მათ არ აქვთ საცვლები და ფეხსაცმელები. ბავშვების უმრავლესობა ჭლექით არიან ავათ.

**საფრანგეთსა და ვატიკანის შორის დიპლომატიური ურთიერთობის განახლება**

**ლიონი,** 2 დეკემბ. 376 ხმით 225 წინააღმდეგ პალატამ მიიღო კანონ-პროექტი პარიზში პაპიროსი ნუნციოს დაშვების შესახებ. 397 ხმით 209-ს წინააღმდეგ მიღებულ იქნა მომხსენებლის შორის კოლრას რეზოლიუცია ვატიკანთან დიპლომატიური ურთიერთობის განხილვების შესახებ. პალატამ პირველად ობერკირშას მოხსენება, რომელსაც (ობერკიშაშ) ელზას-ლოტარინგიის სახელით სურვილი გამოთქვა ეს კანონპროექტი განხორციელებულიყოს. შემდეგ გამოვიდა ლეიგი, მან აღიარა რომთან ურთიერთობის განახლების აუცილებლობა. მან მოიგონა, რომ 1913 წელს რევოლიუციონურ საფრანგეთმა უწმიდესი ტახტის წინაშე წარმომდგენლათ მოქალაქე კაკო გაგზავნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოგონება.

(ამხ. პავლეს)

მახსოვს, რომ ძმაო ჩვენი შეყრა ეკლიან გზაზე—
ჯერ ისევ ბავშვნი, რომ მივქროდით ალთქმისა მთაზე?!
რომ იქ მწვერვალზე, ჩვენსა წმინდა საკურთხეველზე
მსხვერპლად დაგვედვა ჩვენი თავი მის წმინდა ცეცხლზე?!
დღეს მაგონდება შენი სახე, წარბ შეუხრელი,
როს მტრისა გუნდში ვნავარდობდით ქედ მოუხრელი.
მტრის სისასტიკე, მისი რისხვა ჩვენ ვერ გვაკრთობდა,
მუდამ ჟამს საფრთხე თვალწინ გვედგა, თითქოს გვართობდა.
დღესაც ისა ვართ, ტკბილ ოცნებით მომაგონდები.
მიტომ არ ვსტირი ამ წყვდიადში და არ ვლონდები.

ალია

ქუთაისის ციხე, 10 ნოემბერი.

# საბჭოთა რუსეთში

**სასოფლო-მეურნეობა და მისი საჭიროებანი.**

**მოსკოვი**, 1 დეკემბ. რუსეთი ისეთი ქვეყანაა, სადაც უმრავლესობა გლეხობას წარმოადგენს. სასოფლო მეურნეობა მთელს რესპუბლიკაში წარმოების მთავარი დარგია. ამიტომაც წარსული წლის მოუსავლობამ მეტათ მძიმე შედეგები გამოიღო მთელ რიგ გუბერნიებისათვის.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით სასურსათო საქმეთა კომისარიატი შეუდგა დაზარალებულთადმი დახმარების აღმოჩენას. დაზარალებულ გუბერნიებისათვის გადადებულია კარტოფილის ფონდი, პური და სხვა სანოვაგე. აგრეთვე ამ გუბერნიებს გაეწევა დახმარება ინვენტარით. დახმარების გეგმის სასწრაფოთ განსახორციელებლათ, სასურსათო საქმეთა კომისარიატმა ადგილობრივ დაგზავნა თავიანთი წარმომადგენლები.

ადგილობრივი ორგანიზაციები, აღმასრულებელი კომიტეტები და პროფესიონალური კავშირები ვალდებულნი არიან ფართო მონაწილეობა მიიღონ სასოფლო მეურნეობის საქმეში.

**საბჭოთა რუსეთისაკენ.**

**მოსკოვი**, 1 დეკემბ. უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში ამერიკაში ერთი მილიონი ნახევარი კაცი ჩაეწერა სიაში, რომელთაც სურთ საბჭოთა რუსეთში წამოსვლა. ამერიკის მთავრობა ხელს უშლის რუსეთში წამომსვლელთ.

**საბჭოთა რუსეთი ნახშირის ფრონტზე.**

**მოსკოვი**, 1 დეკემბ. სახალხო კომისართა საბჭოს კომისია, რომლის მოვალეობაა დონის ქვა-ნახშირის წარმოების აღდგენა და მუშების ეკონომიურათ უზრუნველყოფა, უკვე შეუდგა დონის ოლქში მომუშავე 170 კაცის და მათ ოჯახების სურსათით და სხვა საჭირო საგნებით დაკმაყოფილებას.

**ქარხნის სამაგალითო მუშაობა.**

**მოსკოვი**, 20 ნოემბერი. ქარხანა „ჰერმოლესი" 1 სექტემბრიდან ხეტყის მთავარ კომიტეტის განკარგულებაში გადავიდა. კომიტეტს დავალებული აქვს თვეში 220 ათასი კუბიალეში ფუტი ნედლი მასალა დაამზადოს. მიუხედავათ დიდძალი საჭირო მასალების სიმცირისა, სექტემბერში 107 კუბ. მასალა დაამზადა, ე. ი. 59 პროც. მთელი შეკვეთილის.

**ურალის ქარხნებში.**

**მოსკოვი**, 2 ნოემბერი. ზემო—ისეცის ქარხნებში გააკეთეს შვის საპობი მანქანები, რომლების მუშაობა უკვე დაიწყეს, მუშაობა ნაყოფიერია. კიშტინის ქარხანაში კეთდება ლითონის მანქანები და იარაღები.

**სახალხო მეურნეობის ქონების აღწერა.**

**პეტერბურგი**, 15 ნოემბერი. 25 ოქტომბერს სახალხო მეურნეობის ქონების ამწერ საგანგებო კომისიამ აღმოაჩინა, რომ არსებობს 7,160 საწყობი, მათ შორის 1,125 ცარიელია. არსებობს სულ 130 სხვა და სხვა საქონელი. და 1,5 მილიონზე მეტი ბარათი.

**ანილის წარმოება.**

**პეტერბურგი**, 18 ნოემბერი. ტენტელევის ქარხანაში ანილის განყოფილებამ დაიწყო მუშაობა. ამის შემდეგ საქსოვ ქარხნებს ბლომათ აწოდებენ ანილის სალებს.

**„რა ვაკეთოთ"?**

**მოსკოვი**, 2 დეკემბ. გაზ. „პრავდა" თავის სტატიაში: „რა ვაკეთოთ"—სწერს, რომ რუსეთის კონტრ-რევოლიუციის დამარცხების შემდეგ მთელი კაპიტალისტური ქვეყანა კბილთა ღრჭენით სდგას ასეთ კითხვის წინაშე: აწი რა ვქნათ? როგორ მოვსპოთ ბალშევიკური სენი? საფრანგეთის ერთი პასუხისმგებელი პოლიტიკური მოღვაწე აცხადებს, რომ ჩვენ ვეხმარებოდით კოლჩაკის, დენიკინის, იუდენიჩის და ვრანგელის მომხრეებს, მაშასადამე მათ დამარცხებასთან ერთათ ჩვენც დავმარცხდით. ყოველთვის ვცდებოდით ჩვენო—ამბობს ის. საფრანგეთი ვერ ისვენებს. მისი სურვილია რუსეთის მუშებს და გლეხებს ჩამოგლიჯონ 7 ფენა ტყავი მეფის ვალების სამაგიეროთ. საფრანგეთი დაიბნა, ის უძლურია და ეხლა ახალ კომბინაციებს აწყობს საბჭოთა მთავრობის წინაღმდეგ. საფრანგეთი დარწმუნდა, რომ მისი რუსეთელი მირონცხებულები საქმეს ვერას უშველიან და ამიტომ საფრანგეთი ცდილობს კავშირი შეკრას ქემალთან და ამით ახლო აღმოსავლეთით შეუტიოს საბჭოთა რუსეთს.

ამავე დროს ვრანგელის გადარჩენილ ჯარებს საფრანგეთის ბირჟა აწყობს და ამზადებს ბალშევიკების წინაღმდეგ გასალაშქრებლათ. საფრანგეთის ბირჟევიკები ახალი ლოზუნგით ილაშქრებენ ბალშევიკების წინააღმდეგ. ეს ლოზუნგია—ბალშევიკური იმპერიალიზმის საფრთხე მთელ ქვეყნისათვის. ბალშევიკები ეყრდნობიან მსოფლიო რევოლიუციას, რასაც ხიშტების საშუალებით ახდენენო—ამბობენ ისინი. მხოლოდ ინგლის-ამერიკის კაპიტალი უწევს ანგარიშს მდგომარეობას და ვაჭრობას იწყებს საბჭოთა რუსეთთან.

ამ კაპიტალს იმედი აქვს, რომ ჩვენს სხეულზე დაამყნის ბურჟუაზიულ სენს და მით მოსპობს კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის ბალშევიკურ საფრთხეს. კრასინს უკვე ჩააბარეს ხელმოწერილი სავაჭრო ხელშეკრულების ტექსტი. საფრანგეთმა არ იცის რა ქნას. საბჭოთა რესპუბლიკა სწორი გზით მიდის და ვინც კი ხელს შეუშლის მას ამ გზაზე სვლაში—დამარცხებული იქნება.

## კიდევ ერთი.

**მოსკოვი**, 22 ნოემბ. მენშევიკების ცნობილი ლიტერატორი ი. მაისკი, რომელიც 1918 წელს სამარის მთავრობის მინისტრათ იყო, თავის ვრცელ წერილში გაზ. „პრავდაში" აცხადებს, რომ 1917 წლის თებერვლიდან მოკიდებული მენშევიკების პოლიტიკური ხაზი შემცდარი იყოვო. ბოლშევიკურ პოლიტიკის ხაზის სისწორე ბრწყინვალეთ დაამტკიცა რევოლიუციის მსვლელობამო. ამიტომ ამხ. მაისკი აცხადებს, რომ ის გამოდის მენშევიკების პარტიიდან და გადაწყვეტილი აქვს მთელი თავისი ძალღონე შესწიროს საბჭოთა რესპუბლიკის გამაგრების საქმეს.

# რევოლიუციის ფრონტებზე

## ოპერატიული რადიო-ცნობა რესპუბლიკის საველე შტაბის რევოლიუციოსოვეტისა.

**მოსკოვი**, 1 დეკ. დასავლეთის ფრონტზე სიწყნარეა. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე, გუსიატინის რაიონში ჩვენ დავიკავეთ დაბა კუპელი, რომელიც პოლონელებმა დასტოვეს.

რესპუბლიკის საველე შტაბის რევოენსოვეტის ვოენკომი დანიშევსკი.

**მოსკოვი**, 2 დეკ. ლუნინეცკის რაიონში ჩვენი ნაწილები გამოვიდენ ახალ დემოკრატიულ ხაზზე დაბა ლენინოსთან, მდ. სლუჩზე, ტუროვამდის.

ქ. იზიასლავის რაიონში ჩვენი ნაწილები მიიწევენ დემოკრატიულ ხაზისაკენ.

რესპუბლიკის საველე შტაბის რევოენსოვეტის ვოენკომის მაგიერ კლიმ.

**იტალიის გლეხები განაგრძობენ მიწების დატაცებას.**

**მოსკოვი**, დეკ. კრემონის მიდამოებში გლეხებმა ერთი კვირის განმავლობაში ჩაიგდეს ხელში ყველა მამულები.

**აფრიკაში.**

**მოსკოვი**, 1 დეკ. პორტ-ელიზავეტიდან იტყობინებიან, რომ იქ დაიწყო მღელვარება, ბრბომ ააფეთქა ნავთის აუზები. პოლიცია ესროდა ხალხს, მსხვერპლი ბევრია. მოდის დასახმარებლად ინგლისის პოლიცია.

## რათ დაითხოვეს?

როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვტყობილობთ ამხ. ბარონი, რომელმაც ფარდა ახადა რკინის-გზელთა ორგანოების „რევოლიუციონურ" მოღვაწეობას უკვე დაუთხოვიათ საქართვ. დემოკ. რესპუბლიკის ერობათა კავშირიდან, სადაც ის მეოთხე თვეა, რაც მსახურობდა.

## ქიაზიმ. ბეი სომხეთში საბჭოთა ძალა-უფლების შესახებ.

ანგორის მთავრობის წარმომადგენელმა ქიაზიმ-ბეიმ, რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობასთან საქართველოში არსებულ ბეჭვდითი ბიუროს თანამშრომელთან საუბარში, სომხეთში საბჭოთა ძალა-უფლების გამოცხადების გამო სთქვა:

„დაშნაკელების ძალა-უფლება არ იყო მტკიცე. დაშნაკელებმა ვერ შესძლეს სომხეთის სწორეთ მართვა და ვერ დაიცვეს ოსმალეთის მიმართ ნეიტრალობა.

დაშნაკელების ბატონობის დამხობის შემდეგ შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთი სოც.-დემოკრატ. ნაციონალისტებისა, როგორც ეს საქართველოშია, მეორე კი მემარცხენე—საბჭოთა მთავრობა.

პრინციპიალურათ ესენი ორივე ერთია ჩვენთვის, ვინაიდან ისინი ორივე წინააღმდეგნი არიან პრინციპიალურათ დაპყრობითი პოლიტიკის. ორივე ასეთი მთავრობები დაიცავენ სომხეთის დამოუკიდებლობას ნორმალურ კალაპოტში.

სომხეთში ძალა-უფლების გამოცხადება ჩვენ დიდ სასიამოვნო მოვლენათ მიგვაჩნია. დღემდის ერთად-ერთი მიზეზი, რაც ხელს უშლიდა ოსმალეთ-სომხეთის დამეგობრებას, იყო დაშნაკელები. ის იყო პირდაპირი საშიშროება ოსმალეთისათვის. მაგრამ ახლა, როდესაც სომხეთში საბჭოთა ძალა-უფლებაა, ჩვენ შეგვიძლია დავუმეგობრდეთ მას.

ვინაიდან ჩვენი დამოკიდებულება მოსკოვის მთავრობასთან ძმურია, ჩვენ სომხეთში საბჭოთა მთავრობას ყველაზე მეტი სიმპატიით შევხვდებით, ვიდრე სხვა მთავრობებს. ის მოგვცემს ჩვენ საშვალებას ჩამოვაგდოთ ზავი სომხეთსა და ანგორის მთავრობის შორის და აგრეთვე საშვალება გვექნება კიდევ უფრო დავუახლოვდეთ საბჭოთა რუსეთს, ვინაიდან დღემდის ჩვენ გველობებოდა გზაში დაშნაკელები, რომელიც დღეიდან იქნება მოსპობილი.

ისეთი მეზობელი, როგორც იყო დაშნაკური სომხეთი, ჩვენთვის საშიში იყო. საბჭოთა სომხეთი კი, ყოველგვარ იმპერიალისტურ ზრახვებს მოკლებული, ჩვენთვის სასიამოვნო მისალები იქნება.

# მუშათა წერილები

## გაიღვიძეს!..

გაზეთ „სახალხო საქმის 991 ნოემბერში დაბეჭდილია თფილისის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების კავშირის ცენტრალური გამგეობის ფრიად საყურადღებო მოწოდება თავის ამხანაგებისადმი მიმართული.

ყოველი ჩვენგანი სიხარულით წაიკითხავს ამ მოწოდებას და უსურვებს მომავალს მათი ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას. არა მგონია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომელსაც „სოციალისტები"-მენშევიკები უწოდებენ „თავისუფლების ოაზისს" მოიძებნებოდეს ისეთი მოქალაქე, რომელიც საგონებელში არ ჩააგდოს ამ გავლენამ, არ უწევდეს ანგარიშს იმ უწყეო მდგომარეობას, აწმყოს და მომავალს, საზოგადოთ „უბედობას" მართლაც ყოველ უფლებებ-აყრილ, სახელმწიფოს გარეშე მოქცეულს, გონებრივად მომუშავე პროლეტარს, სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკებს—მოხელეებს. და მათ ასეთს მდგომარეობას თანაგრძობას არ უცხადებდეს.—

მაგრამ დღეს, როდესაც ყოველ მოხელის ოჯახში, რომელიც შექმნილ ეკონომიურ მდგომარეობის მიზეზების გამო, უკიდურეს გაჭივრებას განიცდის, როდესაც ულმობელი შიმშილის წინაშე დგას მისი ტიტველი ცოლშვილი და როდესაც ნესტიან, ფანჯრებ ჩამტვრეულ ბინებში, რომელსაც გათბობა ამ სუსხიან ზამთრის პირს შეიძლება არც კი ეღირსოს—ნუ თუ დღეს ასეთ მდგომარეობაში მყოფ მოხელეს, მის ოჯახს შეუმსუბუქებს ასეთ აუტანელ მდგომარეობას მხოლოდ და მხოლოდ თანაგრძობა?...

რასაკვირველია არა!.. ამისათვის საჭიროა სასტიკი ბრძოლის წარმოება და ეს აუცილებლობაც, როგორც იქნა, შეიგნეს რესპუბლიკის მოხელეებმა...

საერთო პოლიტიკურ-ეკონომიურ უფლებებისათვის ბრძოლის საჭიროებამ სახელმწიფოს მოხელეთა, რომელთაც წინეთ „ჩინოვნიკებს" უწოდებდენ, მოახდინა მსოფლ-მხედველობაში ერთგვარი რევოლიუცია—გარდატეხა და მას მოუწოდა თავის უფლებებისათვის საბრძოლველად... ის ერკვევა „საღათას ძილისაგან", ირაზმება, ყალიბდება პროფესიონალურ კავშირებში და გაიძახის საჯაროთ: „მთავარი ჩვენი ძალა, ეს ჩვენ თვითონა ვართ. თუ ჩვენ არ ამოვიღეთ ხმა, სხვა ჩვენთვის არ იზრუნებსო".

დიახ! სრული ჭეშმარიტებაა მოხელეთა გულის სიღრმიდან ასეთი ამოძახილი!.. ვინ არ იცის, რომ ჩვენი „სოციალისტები" მათთვის არ ზრუნავენ. ვინ არ იცის, რომ შრომის ხელშეკრულება მათზე არ გაავრცელეს და მათი ადამიანური უფლებები ფეხქვეშ გათელეს?

იცის ეს გაღვიძებულმა არმიამ გონებრივად მომუშავე პროლეტარებისამ და აკი ის თავის უკანასკნელი სიტყვის თქმისთვის ემზადება მომავალ ყრილობაზე. და გვწამს, რომ ის იტყვის ამ სიტყვას...

მხოლოდ ერთად ერთი ხსნა მათი ამ აუტანელ მდგომარეობიდან გამოსვლისა არის გზა საერთო ეკონომიურ—პოლიტიკური. აუცილებელი საჭიროა მუშათა კონტროლის ცხოვრებაში გატარება, ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია და სხვა.

მეგობარი.

# დღიური.

**წითლებმა დაიკავეს პოლონელების მიერ დაცლილი კუპოლი.**

**ამერიკიდან ნახევარ მილიონმა კაცმა განაცხადა სურვილი საბჭოთა რუსეთში გადასახლებისა.**

**იტალიაში გრძელდება გლეხების მიერ მემამულეების მიწების დატაცება.**

**იტალია ემზადება საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ურთი-ერთობის აღსადგენათ.**

**ინგლისის მთავრობამ გადასცა ამხ. კრასინს სავაჭრო შეთანხმების პროექტი.**

**პორტ-ელიზაბეტაში (აფრიკა) აჯანყებაა ინგლისის წინაალმდეგ.**

**მოსკოვის ყველა რესტორანებში და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში შემოიღეს სურსათის უფასოთ მიცემა.**

ძვირფასო ამხანაგებო! „ახ. კომუნისტი" გამოდის „ბრძოლის" მაგიერ.

მუშების და გლეხების გაზეთია; როგორც „ბრძოლა", ისე „ახ. კომუნისტი" დაიცავს მთელი მშრომელი მასსიი ყველა დაჩაგრულთა და შევიწროებულთა ინტერესებს. აშკარაა, რომ თავისი ორგანო თვით მუშებმა და გლეხებმა უნდა ასაზრდოონ, თვით მუშებმა და გლეხებმა უნდა მისცენ მას არსებობის საშუალებანი.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! აღმოუჩინეთ თქვენი არსებით ინტერესების დამცველ გაზეთს „ახ. კომუნისტს" ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება. მიიღეთ ყოველგვარი ზომები მის გასავრცელებლათ ფართო მასსაში, გამართეთ ხელის მოწერა მის სასარგებლოთ. ამით თქვენ უზრუნველყოფთ მის არსებობას.

**საქართვ. კომუნისტ. ორგანიზაციების დროებ. ცენტრალური კომიტეტი.**

# განცხადებანი.

გამომცემლობა

## „წითელი ვარსკვლავი"

**გამოსულია.**

1. ვინ არიან კომუნისტები (ბალშევიკები). ფ. 3 მ.
2. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ინტერნაციონალი მომაკვდავი და ინტერნაციონალი ამომავალი. ფ. 5 მ.
3. მ. კასპიელი. ვინ სტყუის? ფ. 10 მ.
4. ნ. ლენინი. ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. ფ. 5 მ.
5. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ომი და სოციალიზმის კრიზისი. ფ. 20 მ.
6. მ. კასპიელი. ინტერნაციონალი და ომის საკითხი. ფ. 15 მ.
7. პროგრამა რუს. კომ. პარტიისა.
8. ბუხარინი. პროლეტ. დიქტატურა რუსეთში და მსოფლიო რევოლიუცია.
9. ნ. გექტორი. რით აიხსნება რუსეთის სოციალისტ. რევოლიუციის ადვილად გამარჯვება..
10. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნ. ცენტ. კომიტეტის მიმართვა კავშირისადმი 1850 წ.

**იბეჭდება:**

11. ბუხარინი და პრეობრაჟენსკი. კომუნიზმის ანბანი.
12. ზინოვიევი. პარტია და პროფესიონალური კავშირები.
13. მინინი. რელიგია და კომუნიზმი.
14. პეტროვიჩი. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
15. კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრანგეთში 1870—71 წ.

---

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღია დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

---

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91.

ბიურო ღია დილის 9—2 საათამდე.

---

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ.

ბიურო ღია დილის 10—12 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 135.

ბიურო ღია საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

---

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის ბირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღია დილის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.

---

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)

ბიურო ღია დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

---

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღია დილის 10—1 ნახ. საათამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის

# ფურცელი

№ 15 № 15

**პროლეტარულ რუსეთში სავსებით დაცულია ახალგაზრდა მუშების შრომა: მცირე წლოვანი 14 წლამდის მუშაობას მოხსნილია და სასწავლებელში მიცემული, 14—16 წლიდან მუშაობენ მხოლოთ 4 საათს, 16—18 მუშაობენ 6 საათს. ხელფასი გათანასწორებულია უფროს მუშებთან. „დემოკრატიულ“ საქართველოში კი...(?)**

**მხოლოთ პროლეტარიატის დიქტატურას და საბჭოთა ძალა-უფლებას შეუძლია იხსნას ახალგაზრდობა მონობა-გადაგვარებისაგან.**

## ახალგაზრდა „მარქსისტები“ და ინტერნაციონალი

1914 წ. მეორე ინტერნაციონალი მოკვდა, მოკვდა სამარცხვინოთ. დროებით შეწყდა კავშირი სხვა და სხვა ქვეყნის მუშების, მაგრამ ამ საზარელი ომის ხანაში თან და თან ძლიერდებოდა ომის მოწინააღმდეგე ფრთა და ბოლოს შესაძლო გახდა მათ შორის (მემარცხენეებს შორის) კავშირის გაბმა და საფუძვლის ჩაყრა ახალი ინტერნაციონალისათვის. ღირსია აღნიშვნის, რომ ახალგაზრდათა ინტერნაციონალი თავიდან ომის მოწინააღმდეგე იყო და როდესაც მოხდა I კონგრესი III ინტერნაციონალისა ისიც შედის იქ, როგორც ჭეშმარიტ ინტერნაციონალთან ნაცვლათ ძველი მოღალატური ინ-ლისა. წლინახევრის განმავლობაში აშკარათ გადიხარა სასწორი III ინტერნაციონალისაკენ. მას შეუერთდა უძლიერესი პროლეტარული პარტიები ევროპის რევოლიუც. მუშათა კლასისა. დამოუკიდებლობის და ფრანგ სოციალისტების III ინ-ლში შესვლამ ნათელი გახადა ყველასათვის, რომ 2 ინ-ლი მართლა მოკვდა და თუ გვსურს ბრძოლა მუშათა მიზნების განსახორციელებლათ უნდა მივემხროთ III ინტერნაციონლს. ეხლა თითქმის აღარ არის დარჩენილი რევოლიუც. პარტიები, რომლებიც არ მიმხრობოდეს მესამე ინტერნაციონალს. კითხვა ინტერნაციონალის შესახებ, მაშასადამე, მთავარი საკითხი იყო ევროპის მუშათა კლასისათვის; მას, ის ასე თუ ისე სწყვეტდა, მხოლოთ საქარ. სოციალ-დემოკრატია სდუმდა და არ სთვლიდა ამ საკითხს თავისი მსჯელობის ღირსათ. ამ რამოდენიმე ხნის წინ ჩვენმა ამხანაგებმა დაარღვიეს დუმილი და მენშევიკებს გარკვევით დაუსვეს კითხვა: რომელ ინტერნაციონალს ეკუთნით, მეორეს თუ მესამეს? თუ საშუალო, აღმდგენელთა ჯგუფს?. „ერთობის“ კალმოსნებმა მიკიბ-მოკიბულათ დაიწყეს წერა და ცდილობდენ კითხვის ბანზე აგდებას. აქ აშკარა გახდა, რომ მენშევიკებს საშინლათ ეჯავრებოდათ ამ კითხვის გადასაწყვეტათ დაყენება. მაგრამ ეს კითხვა მაინც სდგას მათ წინაშე და ბოლოს და ბოლოს უნდა უთხრან ქართველ მუშებს თუ ვისთან არიან: ევროპის შეიდემანებთან თუ ლიბკნეხტთან? ეხლა ჩვენ ვუყენებთ კითხვას საქართველოს ახალგაზრდა „მარქსისტებს“. დღეს აშკარათ გამოირკვა ორი მიმდინარეობა – მეორე და მესამე ინ-ლისა —„აღმდგენელთა“ ჯგუფებმა, (დამოუკიდებლები, ფრანგი სოციალისტები), მათმა უმრავლესობამ გადაწყვიტა თუ ვის მიმხრობოდა და თავი გაანება რყევას, რომელიც რეაქციას მატებდა ძალებს. თუ აქაური „მარქსისტები“ თავს სთვლიან სოციალისტებათ და სურთ ბრძოლა, თუ მათში კი დარჩენილა იოტის ოდენი მაინც რაიმე რევოლიუციონური, მაშინ ისინი ვალდებულია მიემხრონ ახალგაზრდათა კომუნ. ინტერნაციონალს და ამით მესამე ინტ-ალს და თუ არა, მაშინ აშკარა იქნება, რომ მთელი მსოფლიოს რევოლიუ. ახალგაზრდობის კავშირს გარეშე რჩება საქართველოს „მარქსისტული“ ახალგაზრდობა. ამდენ ხანს კიდევ შესაძლო იყო გაძრომ-გამოძრომა, საკითხის მიჩქმალვა, სიტყვის ბანზე აგდება. მაგრამ ეხლა კითხვა გადაწყვეტილათ ითვლება, მესამე ინტერნაციონალი შეიქმნა ერთად ერთი მებრძოლი რევოლიუციური და უძლეველი ძალა, მას სცნობს ევროპის პროლეტარიატი. ის არ არის აღმოსავლეთის ჩამორჩენილობის ნაყოფი, როგორც ფიქრობდენ და ფიქრობენ. არა, ის, მიუხედავათ თქვენი ყრუ უსაზღვრო შურისა არის ჭეშმარიტი და ერთად ერთი კავშირი რევოლიუც. მუშებისა, რომელსაც მიყავს მთელი კაცობრიობა აღთქმულ ქვეყნისაკენ. და თქვენც, ბ-ბო, ახალგაზრდა „მარქსისტთა“ ბანაკიდან, დროა დასვათ კითხვა ინ-ლის შესახებ და გამოაჩინოთ თქვენი ნამდვილი სახე, ჩამოიხადოთ ნიღაბი, პირბადე და ისე წარსდგეთ საქართველოს ახალგაზრდობის წინაშე. დროა უთხრათ ქართველ ახალგაზრდებს: კვლავ ძველ, დამსხვრეულ ინტერნაციონალისაკენ იმზირებით და მასზე ოცნებობთ, მასზე იწერთ პირჯვარს, თუ მიდიხართ რევოლიუც. პროლეტარიატის ბანაკში? ან და შეიძლება კიდევ ნეიტრალურათ ყოფნას ამჯობინებთ?

**სპარტაკი.**

## კონფერენციის შედეგები

უკვე წელზე მეტია, რაც ჩვენი ორგანიზაცია არსებობს დღევანდელ სახელწოდებით. უკვე წელზე მეტმა განვლო პირველი გამაერთიანებელი ბაქოს კონფერენციიდან, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ჩვენს კავშირს. ჩვენ სიამაყით და სიხარულით შეგვიძლია მივიხედოთ განვლილ გზაზე და მტკიცეთ განვაცხადოთ: დიახ, ჩვენი მოძრაობა ძლიერდება და ღრმავდება, ჩვენი საქმე საიმედო ხელშია, მომავალი ჩვენ გვეკუთვნის: შარშან სექტემბერში ჩვენ წარმოვადგენდით დაქსაქსულ, დაფანტულ ძალას, რომელიც 700 გაერთიანებულ წევრებისაგან შემდგარს, ეხლა კი ჩვენს დროშის ქვეშ შეკავშირებულია, ორგანიზაციულათ დარაზმულია ენერგიით, ენტუზიაზმით და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობა, მჭიდრო კომპაქტური მასსა 3000 წევრისა. და ეს ზრდა განვითარება მწვავე ჯოჯოხეთურ პოლიტიკურ პირობებში: განუწყვეტელი დევნა, ციხე, ცემა, დახვრეტა, ორგანიზაციების სისხლიდან დაწრეტა საუკეთესო ამხანაგებისა გადასახლებით. დიახ, გვაქვს საბაბი მომავალს იმედით და ალტაცებით შევყუროთ.

ამ ერთი წლის მუშაობის დროს კავშირის წინ წამოიჭიმა მრავალი საჭირბოროტო კითხვები: საჭირო იყო მიღებულ გამოცდილების გადასინჯვა, განმტკიცება-გამოყენება, ერთობ გაზრდილ კავშირისთვის სათანადო ორგანიზაციული ფორმების გამონახვა, მუშაობის ზოგი დარგების გაფართოება, ზოგის შეცვლა, ზოგის კი სრულიად ახლათ შემოღება. ამ საქმის გაკეთება შეეძლო მხოლოთ და მხოლოთ ყრილობას. მაგრამ აგვისტოს ყრილობა, რომელიც მოწოდებული იყო განემტკიცებია კავშირის ორგანიზაციული მხარე და დაესახა მომავალი მუშაობის გზა, ეს ყრილობა მენშევიკების ჟანდარმთა მიერ მოგუდული ჯერ კიდევ ნორჩი გაუფურჩქვნელი ჩაესვენა სამარეს. მისი მემკვიდრეთ, განმაგრძობლათ და დამაგვირგვინებლათ გაჩნდა ჩვენი ეხლანდელი კონფერენცია.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ სხვა და სხვა მიზეზების გამო მოკლებული ვიყავით საშვალებას გვეწარმოებინა ფართო წინასწარი მუშაობა, საარჩევნო მომზადება აგიტაცია—მიუხედავათ ამისა კონფერენცია გამოდგა ძლიერ ნაყოფიერი და თავის სიმაღლეზე მდგომი, დაესწრო თითქმის ყველა საქართველოს ორგანიზაციების წარმომადგენლები, ცოტა გამონაკლით, სხდომები ჩატარდა მწყობრათ და ხალისიანათ. აღსანიშნავია ერთი მომენტი: ცენტრალურ კომიტეტის პატარა ბინა, გაჭედილი დელეგატებით და დამსწრე ამხანაგებით, მათი ბრწყინავი და აღფრთოვანებული სახე ნათლად ლაპარაკობდა ჩვენ მდგომარეობაზე, ჩვენი მუშაობის პირობებზე.

საქართველოს კომუნისტურმა ახალგაზრდობამ ამ კონფერენციის სახით დაამტკიცა რომ მიუხედავათ თავისი ხანმოკლე ისტორიისა და სიჭაბუკისა ის მაინც წარმოადგენს ჭეშმარიტ პოლიტიკურ ძალას, საგრძნობ ერთეულს, რომ ის მომწიფებულია და კიდევაც აქვს შეგნებული თავის როლი და მნიშვნელობა. კონფერენციის ყველა სხდომებს აზის ბეჭედი საქმიანობის, მომენტის სიდიადის შეგნების, ტაქტის, სერიოზულ მოფიქრების ასე რომ ამ მხრივ მან დაგვანახა კავშირის არა თუ რიცხვითი ზრდა, მისი პოლიტიკური შეგნება-მომზადებისაც. კონფერენციამ სრულიად ამოსწურა თავისი მისია, ჩაატარა დიდი ნაყოფიერი მუშაობა: არ დარჩენილა კავშირის მოძრაობის არც ერთი საჭირბოროტო და მომწიფებული საკითხი რომელზედაც არ ემსჯელოს, არ გაეშუქებინოს და არ გამოეტანოს თავისი ავტორიტეტული გადაწყვეტილება-დადგენილება. კონფერენციამ საბოლოოთ ჩამოაყალიბა კავშირის ორგანიზაციული ფორმები, მისცა მას მთლიანობა ერთგვარიანობა, მოძრავი ელასტიური და მოქნილი ხასიათი. კონფერენციის მიერ მიღებულ სქემის მიხედვით კავშირი წარმოადგენს ორგანიზაციებთა ქსელს, მჭიდროთ გადაჯაჭვულს და ურთიერთ დამოკიდებულთ მაგარ, მტკიცე იაჩეიკებიდან დაწყებული სახელმძღვანელო ორგანოები რთულდებიან, მოქმედების ფართო ასპარეზსს ედებიან, მაგრამ არსებითად ხასიათს არ იცვლიან, თანდათანობით სირთულე, ურთიერთ დაახლოვება დროსა და ადგილის ვითარებათა შეგუებული ფორმა— აი რა ახასიათებს კონფერენციის მიერ გამომუშავებულ ორგანიზაციულ სტრუქტურას. კონფერენციამ საბოლოოდ გამოარკვია, პლანიური და მწყობრი ხასიათი მისცა ჩვენს ურთიერთობას კომ. პარტიასთან, კავშირის ორგანიზაციულ ავტონომიის, მჭიდრო დამოკიდებულების და ურთიერთ დახმარების ნიადაგზე. თუ კი ამდენხანს ჩვენს კავშირში ახალგაზრდა მუშები შედარებით ნაკლებათ ეტანებოდენ და ჩვენი ეკონომიურ-უფლებითი დაცვის მუშაობა კოჭლობდა—ამ გარემოებას კონფერენციამ მიაქცია სათანადო ყურადღება, დაადგინა, გააძლიეროს მუშაობა პროფესიონალურ კავშირებში, შექმნას საამისო აპარატი ორგანიზაციები და მოიხვეჭოს მათში სიმპატია, გადისროლოს ლოზუნგები ხელფასის მომატების, სამუშაო დროის შემცირების და ადამიანურ მოქცევისა, რადგან ახალგაზრდობა მუშათა კლასისა უაღრეს ექსპლოატაციის საგნათ გამხდარა და „სოციალისტური“ მთავრობა მათ დაცვისთვის ყურებსაც არ აბარტყუნებს.

სხვაც ბევრი დადგენილება გამოიტანა კონფერენციამ, ბევრი რთული და დახლართული საკითხები გაარჩია მან. ის სიდინჯე, ყურადღება და ცოდნა, რომელიც გამოიჩინა დელეგატებმა კამათის და მსჯელობის დროს ნათლად მოწმობს ჩვენი პროვინციის იდეიურათ გაღრმავებას, პოლიტიკურათ ზრდას და ორგანიზაციულად განმტკიცებას, აი ამაშია ჩვენი გამარჯვების სათავე, აი ეს გვმატებს ჩვენ ენერგიას და სიხარულით ავსებს ჩვენს გულს.

**ხავონაროლა.**

## ახალგაზრდობის ინტერნაციონალი

### კომუნ. ახალგაზრდობა საბერძნეთში

ქ. სალონიკის მუშათა ცენტრის ორგანოში „მუშის ხმა“, 27 ენკენ. 1920 წ. თარიღით დაბეჭდილია შემდეგი:

ინტერნაციონალური დღესასწაული ახალგაზრდობისა კავალაში, 13 სექტემბერს ჩატარდა დიდი ზეიმით.

მიუხედავათ სხვა და სხვა დევნა ძალდატანებისა, კავალის მუშები, რომლებიც მოწვეული იყვნენ სოციალისტურ ახალგაზრდობის ათას პროკლამაციებით, ხალისით მოვიდენ დღესასწაულზე.

დღესასწაულზე ილაპარაკეს ბევრმა ორატორმა რაიონებიდან.

ხმები: „გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს, გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას“, განუწყვეტლივ გაისმოდა ჰაერში.

შთაბეჭდილება პირდაპირ მომხიბლავია.

დღესასწაულის ბოლოს პრეზიდიუმის სახელით შემოტანილი იქნა შემდეგი რეზოლიუცია, რომელიც მიღებული იყო მხურვალე ტაშისცემით და წამოძახილების ქვეშ:

ახალგაზრდობის დღესასწაულზე შეგროვილი ამხანაგები და თანამგრძნობნი კავალელი მუშები, ვიღებთ რა მხედველობაში:

1) რომ პროლეტარული საბჭოთა რუსეთი იბრძვის კაცობრიობის, უმთავრეს კი მშრომელთა კლასების განსათავისუფლებლათ კაპიტალიზმის ბრჭყალებისაგან და მთელ ქვეყანაზე სიმართლის და თანასწორობის დასამყარებლად.

2) რომ ყველა ქვეყნის იმპერიალისტები და კაპიტალისტები ცდილობენ სხვა და სხვა უსირცხვილო და საშუალო საუკუნეების საშუალებებით ჩაახრჩონ სოციალისტური რევოლიუცია მოხალისეთა ჯარების დარაზმვით და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ახალ კავშირია შედგენით.

3) რომ მთავრობის დღევანდელ პოლიტიკით მოსალოდნელია საბერძნეთის მონაწილეობა ეგრედ წოდებულ „მცირე ანტანტის“ კავშირში უცხოელ კაპიტალისტთა ინტერესებისათვის, მიუხედავათ იმისა, რომ ის (საბერძნეთი) ჯერ კიდევ გუშინ მტრულ განწყობილებაში იყო ბულგარეთთან—რუსეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლად, ერთხმად დაადგინა:

1. სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ საბჭოთა რუსეთის მიმართ ომების და გამოსვლების წინააღმდეგ.

2. გამოვსთქვამთ სიმპატიას და სოლიდარობას გმირულ პროლეტარიატის მიმართ.

უგზავნით მისალმებას ბალკანეთის კომუნისტურ ფედერაციას და გვსურს სოციალიზმის ჩქარი დამყარება მთელ დედამიწაზე.

გაუმარჯოს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს საბერძნეთის სოციალისტურ მუშათა კომუნისტურ პარტიას.

გაუმარჯოს საბერძნეთის ახალგაზრდობის ფედერაციას!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

## მკითხველთა წერილები

### რა უნდა ვაკეთოთ?

ჩვენი კავშირი ჯერ კიდევ ნორჩია ახალგაზრდაა. მას არ აქვს დიდიხნის წარსული, პრაქტიკა, გამოცდილება. ჩვენი ახალგაზრდობა 1919 წ. სექტემბერში შეკავშირდა პირველათ. ამიტომ გასაგებია, რომ ბევრის გაკეთება ვერ მოვასწარით. დღეს მთელის სიგრძე-სიგანით სდგება ჩვენს წინაშე საკითხი ფართე მუშაობის გაშლებისა, ორგანიზაციის გაძლიერებისა. როდის მოხდება ეს, როდის გადავიქცევით მნიშვნელოვან ძალათ საზოგადოებაში? რომ საკმაო ნიადაგია და პირობები ჩვენი ორგანიზაციის გამძლავრებისათვის, ამას გვიმტკიცებს ის, რომ ჩვენი ორგანიზაცია თანდათან იპყრობს მეტ რიცხვს საქართველოს ახალგაზრდობისას. მე საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო შემდეგი: რომ მუშაობა უფრო გაფართოვდეს, ამისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ყოველმხრივ გავეცნოთ იმ პირობებს და მდგომარეობას, რომელშიც გვიხდება მუშაობა, ეს შესაძლოა ყოველდღიური მუშაობიდან და დაკვირვებიდან გამოცდილების შეძენით და ჩვენი მუშაობის უვარგისი მხარეების აღნიშვნით. აქ ჩვენ დიდ დახმარებას გაგვიწევს „ახალგაზრდობის ფურცელი“, მაგრამ საჭიროა მისი უკეთესათ დაყენება.

ხშირათ ვხვდებით ცნობებს: ორგანიზაციის მუშაობა საუცხოვოთ მიდის და სხვა. მაგრამ რაში გამოიხატება ეს მუშაობა, რა არის მასში დადებითი, რომ სამაგალითო გახდეს სხვა ორგანიზაციებისათვის. ამის შესახებ არაფერი იწერება. ამ ბოლო დროს თითქოს ამ ნაკლს ბოლო ელება. ჩვენმა „ფურცელმა“ პირდაპირ და მთავარ მიზნათ ახალგაზრდობის მდგომარეობის გაცნობა უნდა დაისახოს. ამის შემდეგ შეგვეძლება გარკვეული მიზნები დავუსახოთ მოძრაობას, შევიჭრათ ახალგაზრდობის ფართე მასსებში და გადავაქციოთ ჩვენი ორგანიზაცია მძლავრ და მასსიურ ორგანიზაციათ. მაშ, თუ გვსურს პოლიტიკურათ არ მოვკვდეთ, მჭიდრო კავშირი უნდა დავიჭიროთ ახალგაზრდობასთან, შევიცნოთ მისი მოძრაობა და საჭიროებანი, ერთის სიტყვით, გავხდეთ ნამდვილი კავშირი საქართველოს ახალგაზრდობის ფართე წრეებისა. ამას უნდა ემსახუროს ჩვენმა „ფურცელმაც“.

**სპარტაკი.**

## იაჩეიკათა დანაწილება

ჩვენ ორგანიზაციაში საერთოთ იაჩეიკის დაყოფა და დანაწილება, ძალიან უსისტემოთ ხდება რაც უმთავრესი მიზეზია იმისა, რომ მუშაობა ადგილებზე ფერხდება, შემდეგისთვის ამას როგორც რაიონულმა ისე ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს, და საჭიროცაა განსაკუთრებული ინსტრუქციის გამოცემა ცეკას მიერ სპეციალურათ იაჩეიკათა დანაწილების შესახებ, ახლა კი ჩვენ გვსურს მოკლეთ შევეხოთ იმ უსისტემობას რომელსაც ამ საკითხის შესახებ ადგანა ზოგიერთი რაიონული ორგანიზაციები. ზოგიერთი რაიონული კომიტეტები როცა იაჩეიკა იზრდება, ამ გვარათ ანაწილებს მათ, მოწაფეებს ცალკე ყოფს და გლეხებს ცალკე, ეს ყოვლათ მიუღებელია ჩვენი მიზანია ახალგაზრდა მოწაფე დაუკავშიროთ ახალგაზრდა მუშას, რადგანაც მოსწავლე ახალგაზრდობა უფრო ინტელიგენტურ ელემენტს შეადგენს, და მას ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია ახალგაზრდა გლეხისთვის თუ კი ისინი ერთ იაჩეიკაში იმეცადინებენ, საერთოთ ესეც რომ არ იყოს ისედაც მიუღებელია მოწაფის გლეხიდან გამოყოფა, ანდა ქალთა იაჩეიკის გამოყოფა ვაჟთა იაჩეიკისაგან როგორც მომხდარა ლანჩხუთში. შემდეგისათვის ეს შეცდომები არ უნდა განმეორდეს და იაჩეიკათა დანაწილება (თუ კი ერთ იაჩეიკაში ბევრი წევრი მოიყრის თავს) უნდა ხდებოდეს შემდეგ ნაირათ. ჯერ უნდა გაიყოს ორი უფრო პოლიტიკურათ მომზადებული ამხანაგები და შემდეგ თანასწორათ დარჩენილი ამხანაგები.

არსად არც ერთ ორგანიზაციაში საცა კი ეს ტეხნიკურათ შესაძლებელია არ უნდა არსებობდეს ცალკე ქალთა მოსწავლეთა და გლეხთა იაჩეიკები არამედ ეს სამი ელემენტნი ერთი მეორეში უნდა უნდა იყვნენ არეულნი. აი იაჩეიკათა ამნაირ დაყოფით ჩვენ სასურველ დონეზე დავაყენებთ იაჩეიკათა მუშაობას და ძირშივე ჩავკლავთ იმ ანტაგონიზმს რომელიც მოყვება უსისტემოთ იაჩეიკათა დანაწილებას.

**ფ. ძნელაძე.**

დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი

სტამბა [illegible] დადიანის ქ. № 3.